ბანუ ისრაილის წინამძღოლები წინასწარმეტყველები იყვნენ: როდესაც ერთი წინასწარმეტყველი გარდაიცვლებოდა, მას სხვა ცვლიდა. ხოლო ჭეშმარიტად, ჩემს შემდეგ აღარ იქნება წინასწარმეტყველი. ჩემს შემდეგ იქნებიან მმართველები, და ისინი მრავლად იქნებიან

აბუ ჰაზიმი გადმოსცემს:« მე აბუ ჰურაირასთან (ალლაჰი იყოს მისგან კმაყოფილი) ერთად ხუთი წელი გავატარე, და მისგან გავიგონე, რომ მოციქულზე (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამბობდა შემდეგს: «ბანუ ისრაილის წინამძღოლები წინასწარმეტყველები იყვნენ: როდესაც ერთი წინასწარმეტყველი გარდაიცვლებოდა, მას სხვა ცვლიდა. ხოლო ჭეშმარიტად, ჩემს შემდეგ აღარ იქნება წინასწარმეტყველი. ჩემს შემდეგ იქნებიან მმართველები, და ისინი მრავლად იქნებიან». მათ ჰკითხეს: "ო, ალლაჰის მოციქულო, რას გვიბრძანებ?" მან უპასუხა: «იყავით ერთგულნი იმ პირობის, რომელიც პირველ მმართველს შეჰფიცეთ, შემდეგ კი იმას, ვინც მას მოჰყვება. და დაიცავით მათი უფლებები, რადგან, ჭეშმარიტად, ალლაჰი მათ პასუხს მოსთხოვს იმაზე, რაც მათ მმართველობად დაუდგინა».

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნო, რომ ებრაელების მოდგმას ოდითგანვე შუამავლები ხელმძღვანელობდნენ, ისინი იყვნენ პასუხისმგებელნი მათი საქმეების, როგორც მმართველები არიან პასუხისმგებელნი თავისი ხალხის, და ყოველ ჯერზე როდესაც მათი მდგომარეობა ირღვეოდა, ალლაჰი მათ წინასწარმეტყველს უგზავნიდა, რომელიც მათ მართალ გზას უბრუნებდა და აღმოფხვრიდა იმ გადახრებს, რომლებსაც ისინი რელიგიურ დადგენილებებში შეიტანდნენ. ჩემს შემდეგ აღარ იქნება შუამავალი, რათა გამოასწოროს საქმეები როგორც ადრე მყოფი შუამავლები იქცეოდნენ, ჩემს შემდგომ იქნება ბევრი ხალიფა (მმართველი) და მოხდება მათ შორის უთანხმოება და არეულობა. ამ დროს საჰაბები (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი) შეეკითხნენ შუამავალს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას): ასეთ დროს რას გვიბრძანებ? მან უპასუხა: თუ ერთ ხალიფას შეჰფიცეს ერთგულება, ხოლო შემდეგ მეორესაც, მაშინ პირველი ხალიფასთვის მიცემული ფიცი ძალაშია და აუცილებელია მისი დაცვა, ხოლო მეორესთვის მიცემული ფიცი ბათილია, და მას ეკრძალება მისი მოთხოვნა. დაიცავით მათი [მმართველების] უფლებები, დაემორჩილეთ მათ, უსმინეთ და დაემორჩილეთ ყველაფერში, რაც არ არის ალლაჰის დაუმორჩილებლობა. ხოლო ალლაჰი მათგან პასუხს მოსთხოვს და მათ განკითხავს იმისთვის, როგორ მოგექცნენ თქვენ.